

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ფრაქცია „პატრიოტთა ალიანსის“

ფრაქციის სხდომის

ოქმი N 2

ქ.თელავი

15. 04. 2019 წ

სხდომას ესწრებოდნენ :

ფრაქციის თავმჯდომარე არჩილ თვალაშვილი, თავმჯდომარის მოადგილე მიხეილ გრემელაშვილი, სხდომის მდივანი : იოსებ პარწიკანაშვილი .

დღის წესრიგი

1. თელავის მუნიციპალიტეტში სოფლების დასუფთავების შესახებ

მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტში სოფლების დასუფთავების შესახებ

აზრი გამოთქვას: არჩილ თვალაშვილი - მიუხედავად იმის რომ თელავის მუნიციპალიტეტში არსებობს კეთილმოწყობის სამსახური, რომელიც კარგად მუშაობს მაინც რჩება რიგი პრობლემები სოფლად განსაკუთრებით

აზრი გამოთქვა : ი პარწიკანაშვილი დაეთანხმა თვალაშვილის მოსაზრებას და აღნიშნა, რომ მაგალითად სოფელ აკურაში რომ იყოს დასაქმებული 2 ადამიანი შესაბამისი ანაზღაურებით სოფლის ცენტრი ასევე დასასვენებელი სკვერი და სტადიონი ნაკლებად იქნებოდა უსუფთაოდ დარჩენილი. ასევე პარწიკანაშვილის განცხადებით ბიუჯეტს გააჩნია შესაბამისი რესურსი რომ ყველა სოფელში მინიმუმ 1 და მაქსიმუმ 2 ადამიანის დასაქმება შეძლოს კეთილმოწყობის სამსახურმა.

აზრი გამოთქვა: მიხეილ გრემელაშვილმა აღნიშნა, მისაღები ინიციატივაა, თუმცა დასძინა რომ, აუცილებელია სპეციალური საგანმანათლებლო მიდგომებიც, რომელიც მოქალაქეებს და განსაკუთრებით მოზარდებს აუმაღლებს პასუხისმგებლობას, გარემოს დასუფთავებასთან დაკავშირებით. რაც შეეხება ახალი სამუშაო ადგილების გაჩენას ეს იქნებოდა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მუნიციპალიტეტის მხრიდან.

გადაწყვიტეს :

ფრაქციამ მიზანშეწონილად მიიჩნია რომ იოსებ პარწიკანაშვილმა აღნიშნული საკითხი მოხსენების სახით გაიტანოს საკრებულოს სხდომაზე .

ფრაქცია „პატრიოტთა ალიანსის“ თავმჯდომარე
არჩილ თვალაშვილი :

